საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-489

22/04/2021

ქ. თბილისი

ქ. რუსთავში, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ რუსთავის ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (კლინკერის N2 ღუმელის და N3 მბრუნავი ღუმელის დემონტაჟი) სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ მიერ გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია ქ. რუსთავში, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ რუსთავის ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (კლინკერის N2 ღუმელის და N3 მბრუნავის დემონტაჟის) სკრინინგის განცხადება.

2009 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ ქ. რუსთავში შპს „საქცემენტის“ ცემენტის წარმოებაზე გაცემულია ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №109 (29.12.2009) და გარემოზე ზემოქმედების ნებართვა. 2012 წელს სახელის ცვლილების გამო გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გაიცა შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიაზე“. ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის N109 (29.12.2009) საფუძველზე, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის” 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 15 აგვისტოს N2-674 ბრძანებით გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის წარმოებაზე). აღნიშნული გადაწყვეტილების თანახმად, რუსთავის ცემენტის ქარხანას გააჩნია 3 კლინკერის ღუმელი. 2020 წლის 26 თებერვალს რუსთავის ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (N1 მბრუნავი ღუმელის დემონტაჟი) გაცემულია სკრინინგის გადაწყვეტილება (ბრძანება N 2-180).

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, პროექტი ითვალისწინებს ქ. რუსთავში, მშენებლის ქუჩა N70ა-ში შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ საკუთრებაში არსებულ ცემენტის ქარხანაში (ს/კ 02.07.02.035) კლინკერის N2 ღუმელის და N3 მბრუნავი ღუმელის დემონტაჟს საწარმოში კლინკერის და ცემენტის ხაზების წარმადობის ცვლილების გარეშე.

სკრინინგის ანგარიშში მითითებულია, რომ კომპანიას კლინკერისა და ცემენტის წარმოების ნებართვა აქვს რუსთავის მშრალი მეთოდის (შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის წარმოებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება N2-554 (12/07/2018) /ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა N13 02.04.2013) ცემენტის ქარხანასაც,

თუმცა მასში ცემენტის წარმოების ხაზი არ იმუშავებს, ცემენტის ხაზის დემონტაჟი ამ ეტაპზე არ იგეგმება. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შემთხვევაში, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიამ“ უნდა უზრუნველყოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით განსაზღვრული პროცედურის გავლა.

სკრინინგის განცხადებით წარმოდგენილი დემონტაჟის პროექტის თანახმად, სადემონტაჟო ღუმელების საძირკველი არის მონოლითური რკინაბეტონის. ნაგებობების საყრდენები წარმოადგენს მართკუთხა პროფილის სხვადასხვა სიმაღლის რკინაბეტონის კონსტრუქციებს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სამუშაოს დროს გათვალისწინებული უნდა იყოს: სადემონტაჟო კონსტრუქციის დროებით გამაგრება, პერსონალის სათანადო ინსტრუქტაჟი და უზრუნველყოფა სპეციალური ქამრებითა და სათვალეებით; გამოყოფილი უნდა იქნეს დემონტაჟის შედეგად მიღებული კონსტრუქციების დროებით დასაწყობების ადგილი; ავარიული სიტუაციის შემთხვევაში უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება და სადემონტაჟო კონსტრუქციის გამაგრება; ყველა საფრთხის შემცველი ადგილი უნდა იყოს შემოღობილი და სათანადოდ განათებული; გარდა ზემოაღნიშნულისა, კონსტრუქციების დემონტაჟის დროს, ასევე გათვალისწინებული იქნება შემდეგი საკითხები: სადემონტაჟო ლითონის კიბეების დაყენება მუშებისთვის/კონსტრუქციების მიმაგრების ადგილთან; ანაკრებ კონსტრუქციებს შორის ნაკერების და კვანძების გახსნა დროებითი გამაგრების გათვალისწინებით; ანაკრები კონსტრუქციების სამონტაჟო ყულფების შემოწმება და საჭიროების შემთხვევაში ახალის მოწყობა; დემონტაჟის შედეგად მიღებული კონსტრუქციების განლაგება შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ სპეციალურად მოწყობილ ღია მოედანზე; ტრავერსების გამოყენება და მათი პარამეტრების გათვალისწინება ამწის შერჩევის დროს; მონოლითური რკინაბეტონის ნაწილების დაშლა ჩაქუჩებით.

სადემონტაჟო სამუშაოები განხორციელდება შემდეგი თანმიმდევრობით: მოსამზადებელი პერიოდის სამუშაოების ჩატარება; ღუმელების სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელება; ნარჩენების გატანა, ტერიტორიის შევსება გრუნტით და დატკეპნა. დემონტაჟის დროს გამოყენებული იქნება შემდეგი დანადგარები/მექანიზმები: სამშენებლო ლითონის კიბეები, ბუნკერები, საკომპრესორო დანადგარები, სანგრევი ჩაქუჩები, ნიჩბები, ელექტროსახერხები, სპეცტრანსპორტი, შემდუღებელი აპარატები და თვითმავალი ამწე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, დაგეგმილი სამუშაოების განხორციელება მოხდება საქართველოს მთავრობის 2007 წლის 28 მარტის N62 დადგენილების „მშენებლობის უსაფრთხოების წესების“ მოთხოვნათა გათვალისწინებით. სამუშაოების სავარაუდო ხანგრძლივობაა 6 თვე.

დაგეგმილი საქმიანობის შედეგად წარმოიქმნება არასახიფათო, სამშენებლო ნარჩენები (ცეცხლგამძლე აგურები), რომელთა მართვაც მოხდება ნარჩენების მართვის კოდექსის

შესაბამისად. დემოტაჟის დროს წარმოქმნილი რკინის კონსტრუქციების დანაწევრდება და დროებით განთავსდება საწარმოს ტერიტორიაზე შემდგომი რეალიზაციის მიზნით.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, დაგეგმილი საქმიანობის (ღუმელების სადემონტაჟო სამუშაოები) განხორციელების დროს მოსალოდნელია ხმაურის წარმოქმნა, რომელიც არ გამოიწვევს მნიშვნელოვან ზემოქმედებას.

სამუშაოები განხორციელდება არსებული საწარმოს ტერიტორიაზე, სადაც ტერიტორია მობეტონებულია და ნიადაგის ნაყოფიერი ფენა არ არსებობს. შესაბამისად ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ რუსთავის ცემენტის საწარმოში ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევის წყაროების დემონტაჟს (კლინკერის N2 ღუმელის და N3 მბრუნავი ღუმელი). სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელების შემდგომ აღარ მოხდება ზემოაღნიშნული ღუმელებიდან მავნე ნივთიერებების გაფრქვევა, რაც შეამცირებს ატმოსფერულ ჰაერზე უარყოფით ზემოქმედებას.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. საზოგადოების მხრიდან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით შენიშვნები და მოსაზრებები არ წარმოდგენილა.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ქ. რუსთავში, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ რუსთავის ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება (კლინკერის N2 ღუმელის და N3 მბრუნავი ღუმელის დემონტაჟი) **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“ ვალდებულია საქმიანობა განახორციელოს 2018 წლის 15 აგვისტოს გაცემული (ბრძანება N 2-674) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად (ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა N109, 29.12.2009), წარმოდგენილი ცვლილებების გათვალისწინებით;
3. შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიამ“ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე უზრუნველყოს განახლებული ,,ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის'' სამინისტროსთან შეთანხმება (ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით);

4. შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიამ“ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე უზრუნველყოს განახლებული ნარჩენების მართვის გეგმის სამინისტროსთან შეთანხმება ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით;
5. ზემოაღნიშნული პირობები წარმოადგენს 2018 წლის 15 აგვისტოს (ბრძანება N2-674) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების (ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა N109, 29.12.2009) პირობების განუყოფელ ნაწილს და მათი შესრულება სავალდებულოა;
6. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“;
7. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
8. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და რუსთავის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოების საინფორმაციო დაფაზე;
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი